

VIII. სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების კალენდარული გეგმა

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფ. გუმბათის საჯარო სკოლის სანკვანძის შენობის და ღია აუზის დემონტაჟი

დემონტაჟის ხანგრძლივობა-1.5 თვე

№	სადემონტაჟო სამუშაოთა დასახელება	ხანგრძლივობა (თვე)	სამუშაოთა წარმოების გრაფიკი	
			თვეები	
			I	II
1	2	3	4	5
	I.მოსამზადებელი სამუშაოები			
1	დროებითი მავთულხადადის ღობის მოწყობა. სადემონტაჟო მოედნის გასუფთავება.	0.15	—	
2	დროებითი შენობის მოწყობა, შიგა ქსელების გამორთვა გარე ქსელებიდან	0.15	—	
3	დროებითი სასაწყობო მოედნის მოწყობა, გამაფრთხილებელი და ამკრძალავი სიგნალების და ნიშნების მოწყობა	0.15	—	
	II.სადემონტაჟო სამუშაოები			
4	სახურავის ფენილის დემონტაჟი(სანკვანძი)	0.2	—	
5	დახურვის ანაკრები ფილების დემონტაჟი(სანკვანძი)	0.3	—	
6	აგურის კედლების(სანკვანძი) და ბეტონის კედლების(აუზი) დემონტაჟი	0.5	—	
7	საძირკვლების დემონტაჟი. ტრანშეის და ქვაბულის შევსება(სანკვანძი; აუზი)	0.3	—	
8	სამშენებლო ნარჩენების გატანა მოედნიდან	0.5		—
9	მეორადი გამოყენებისთვის ვარგისი მასალების გატანა მოედნიდან	0.5		—

სსიპ

საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის
განვითარების სააგენტო

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფ. გუმათის
საჯარო სკოლის სანკვანძის შენობის და ღია აუზის
დემონტაჟი

სადემონტაჟო სამუშაოთა ორგანიზაციის პროექტი

თბილისი 2018 წელი

სსიპ

საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის
განვითარების სააგენტო

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფ. გუმათის
საჯარო სკოლის სანკვანძის შენობის და ღია აუზის
დემონტაჟი

სადემონტაჟო სამუშაოთა ორგანიზაციის პროექტი

სამშენებლო-საპროექტო სამსახურის უფროსი

მ. ჭონიაშვილი

ორგანიზაციის პროექტის ავტორი



ტ. სტურუა

თბილისი 2018 წელი

შემადგენლობა

ა) განმარტებითი ბარათი

I. შესავალი

II. სადემონტაჟო ობიექტის დახასიათება

III. სადემონტაჟო სამუშაოთა ხანგრძლივობა

IV. სადემონტაჟო სამუშაოთა რიგობრიობა და ეტაპები

V. სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების მეთოდები

VI. საჭირო მანქანა-მექანიზმები და ტრანსპორტი

VII. უსაფრთხოების ტექნიკა

VIII. სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების კალენდარული გეგმა

ბ) გრაფიკული ნაწილი

ნახაზი „მო-1“ – „სადემონტაჟო გენგეგმა“; „სადემონტაჟო სქემა“

ა) განმარტებითი ბარათი

I. შესავალი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფ. გუმათის საჯარო სკოლის სანკვანძის შენობის და ღია აუზის დემონტაჟის პროექტი დამუშავებულია სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო“-ს მიერ.

წინამდებარე „სადემონტაჟო სამუშაოთა ორგანიზაციის პროექტი“ დამუშავებულია შემდეგი მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების (სნდაწ) და ტექნიკურ-ნორმატიული დოკუმენტების საფუძველზე:

1. სნდაწ 3.01.01-85* - „სამშენებლო წარმოების ორგანიზაცია“
2. სნდაწ 1.04.03-85 – „მშენებლობის ხანგრძლივობის ნორმები“
3. სნდაწ - III-4-80* - „უსაფრთხოების ტექნიკა მშენებლობაში“
4. ტექნიკური რეგლამენტი „მშენებლობის უსაფრთხოების შესახებ“
5. ტექნიკური რეგლამენტი „შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესები“
6. ტექნიკური რეგლამენტი“ სიმაღლეზე მუშაობის უსაფრთხოების მოთხოვნების შესახებ“

ასევე სხვა მეთოდურ-ნორმატიული დამხმარე დოკუმენტაციის საფუძველზე.

სნდაწ 3.01.01-85*-ის - „სამშენებლო წარმოების ორგანიზაცია“ -ს მოთხოვნის თანახმად, სადემონტაჟო სამუშაოების დაწყებამდე დემონტაჟის შემსრულებელმა ორგანიზაციამ აუცილებლად

უნდა უზრუნველყოს „სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების პროექტი“-ს დამუშავება. აკრძალულია დემონტაჟის დაწყება დამტკიცებული „სამუშაოთა წარმოების პროექტი“-ს გარეშე.

დამკვეთის მიერ აუცილებლად უნდა განხორციელდეს ტექნიკური ზედამხედველობა სადემონტაჟო სამუშაოების წარმოებაზე.

II. სადემონტაჟო ობიექტის დახასიათება

სადემონტაჟო სანკვანძის შენობა (03/1) და ღია აუზი(02/1) მდებარეობს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფ. გუმათში, საჯარო სკოლის ტერიტორიაზე.

არსებული სანკვანძის შენობა არის ერთსართულიანი, მართკუთხედის ფორმის, ზომებით ღერძებში 5.5 x 6.0 მ.

საძირკვლები-მონოლითური რკ/ბეტონის.

მზიდი კედლები - აგურის

დახურვა- ანაკრები რკ/ბეტონის ღრუტანიანი ფილებით.

სახურავი - ბრტყელი. ბურული- რულონური.

სკოლის სანკვანძის შენობის ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. სანკვანძის შენობა თავისი ადგილმდებარეობით ხელს უშლის სკოლის ახალი შენობის ფუნქციონირებას, რის გამოც მიზანშეწონილია მისი დემონტაჟი.

სკოლის ღია აუზი გეგმაში 6.5X9.0 მ. აუზის 2 მ-დე სიღრმის კედლები ბეტონისაა. მიწისზედა დარჩენილი ნაწილი - ანაკრები ბლოკის. აუზის კედლები დაზარალებული და ნაწილობრივ ჩამოშლილია. მიზანშეწონილია ღია აუზის დემონტაჟი.

III. სადემონტაჟო სამუშაოთა ხანგრძლივობა

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფ. გუმათის საჯარო სკოლის სანკვანძის შენობის და ღია აუზის დემონტაჟის ხანგრძლივობა განსაზღვრულია სნდაწ 1.04.03-85 – „მშენებლობის ხანგრძლივობის ნორმები“-ს და დამხმარე „სარეკონსტრუქციო და სადემონტაჟო სამუშაოთა ხანგრძლივობის განსაზღვრა“-ს საფუძველზე და შეადგენს სამუშაოების დაწყებიდან 1,5 თვეს, მათ შორის მოსამზადებელი პერიოდის ხანგრძლივობა- 4 დღე.

ცალკეულ სადემონტაჟო სამუშაოთა ტექნოლოგიური თანამიმდევრობა და ხანგრძლივობა მოცემულია „სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების კალენდარულ გეგმა“-ში.

IV. სადემონტაჟო სამუშაოთა რიგობრიობა და ეტაპები

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფ. გუმათის საჯარო სკოლის სანკვანძის შენობის და ღია აუზის სადემონტაჟო სამუშაოები სრულდება ორ რიგად:

პირველი რიგი- მოსამზადებელი სამუშაოები.

მეორე რიგი- დემონტაჟის ძირითადი სამუშაოები.

მოსამზადებელ პერიოდში სრულდება შემდეგი სამუშაოები:

- 1) სანკვანძის სადემონტაჟო შენობის კონტურის და ღია აუზის კონტურის გარშემო სახიფათო ზონების აღნიშვნა. სადემონტაჟო მოედნის შემოღობვა დროებითი ღობით.
- 2) დროებითი შენობის მოწყობა. სადემონტაჟო მოედნის გასუფთავება.
- 3) სანკვანძის შენობის შიგა ელ.ქსელის და წყლის ქსელის გამორთვა გარე საკომუნიკაციო ქსელებიდან (არსებობის შემთხვევაში)
- 4) მტვრისგან და ხმაურისგან დამცავი ღონისძიებების განხორციელება.
- 5) სახიფათო ზონების ამკრძალავი, გამაფრთხილებელი ნიშნების და სიგნალების მოწყობა.
- 6) დროებითი სასაწყობო მოედნის მომზადება

ძირითად პერიოდში ხორციელდება სანკვანძის შენობის და ღია აუზის სადემონტაჟო სამუშაოები შემდეგ ეტაპებად:

1) ეტაპი - სახურავის ფენილის დემონტაჟი (სანკვანძი)

IIეტაპი - ანაკრები რკ/ბეტონის დახურვის ფილების დემონტაჟი(სანკვანძი)

III ეტაპი- აგურის კედლების(სანკვანძი) და ბეტონის კედლების(ღია აუზი) დემონტაჟი.

IVეტაპი- საძირკვლების დემონტაჟი . ტრანშეის და ქვაბულის ადგილობრივი გრუნტით შევსება.(სანკვანძი; ღია აუზი).

სადემონტაჟო სამუშაოები სწარმოებს „ზემოდან-ქვემოთ“ , „სახურავიდან-საძირკვლების ჩათვლით“, ელემენტური დაშლისა და გამსხვილებული ბლოკებით დაშლის მეთოდებით, დემონტაჟის ტექნოლოგიის შესაბამისად.

მზიდი კონსტრუქციების დემონტაჟი სწარმოებს შემდეგი თანმიმდევრობით:

ა) დახურვის ანაკრები რკ/ბეტონის ფილების დემონტაჟი.

ბ) მზიდი კედლების დემონტაჟი

გ) საძირკვლების დემონტაჟი.

საძირკვლების დემონტაჟის შემდეგ წარმოშობილი ტრანშეა და ქვაბული შევსებულ იქნას ადგილობრივი გრუნტით.

V. სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების მეთოდები

სანკვანძის შენობის და ღია აუზის სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოებისას მკაცრად უნდა იქნას დაცული სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების ტექნოლოგიური თანამიმდევრობა.

სადემონტაჟო სამუშაოების დაწყებამდე აუცილებლად უნდა გამოირთოს გარე ქსელებიდან სანკვანძის შენობის შიგა ელ. ქსელი, წყალმომარაგების ქსელი (არსებობის შემთხვევაში)

ანაკრები რკ/ბეტონის ფილების დემონტაჟის დაწყებამდე აუცილებლად უნდა დაზუსტდეს მათი ტექნიკური მდგომარეობა, განლაგება და მაქსიმალური წონა.

მხოლოდ ამის შემდეგ არის ნებადართული დემონტაჟის დაწყება.

სადემონტაჟო სამუშაოები სწარმოებს „ზემოდან-ქვემოთ“ ანუ „სახურავიდან-სადირკვლების ჩათვლით“. აგურის მზიდი კედლების დემონტაჟის დაწყება ნებადართულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დახურვის ყველა ანაკრები ფილა დემონტირებულია.

ყველა კონსტრუქცია დემონტაჟის დაწყებამდე უნდა გაშიშვლდეს.

სადემონტაჟო სამუშაოები ელემენტების შესაბამისად სწარმოებს შემდეგნაირად:

კარებების, ფანჯრების, სახურავის დემონტაჟი ხორციელდება ხელით, ელემენტური დაშლით.

აგურის მზიდი კედლების დემონტაჟი ხორციელდება ორი მეთოდით:

1) ელემენტური დაშლის გზით-მეორადი გამოყენებისთვის ვარგისი აგურის კედლების დემონტაჟი

2) მონგრევის გზით- უვარგისი აგურის კედლების დემონტაჟი.

დახურვის ანაკრები რკ/ბეტონის ფილების, აუზის კედლის ბლოკის და ანაკრები კონსტრუქციების ნარჩენების დემონტირება და ტრანსპორტირება მიწამდე ან ავტომანქანაზე ხორციელდება

საავტომობილო ამწით, ტვირთამწეობით 16 ტნ.

გადახურვის ფილების დემონტაჟი ხორციელდება ელემენტური დაშლის მეთოდით შემდეგნაირად:

- 1) ხდება გადახურვის კონსტრუქციის პირაპირების შეერთებებისა და სარტყელების ბეტონის შრის დაშლა ხელით, სანგრევი ჩაქუჩით.
- 2) ხდება ამწით ფილის დაჭერა ბაგირჩამჭიდების მეშვეობით
- 3) ხდება ლითონის დამაკავშირებელი ელემენტების ჩაჭრა და ფილის გათავისუფლება
- 4) ამის შემდეგ განთავისუფლებული კონსტრუქცია საავტომობილო ამწით ბაგირჩამჭიდების საშუალებით დემონტირდება სასაწყობო ადგილზე.

ღია აუზის ბეტონის კედლების და საძირკვლების დემონტაჟი ხდება მონგრევით დაშლის მეთოდით, პნევმატური სანგრევი ჩაქუჩების გამოყენებით. ანაკრები მიწისზედა ბლოკის დემონტაჟი-ამწით.

სანკვანძის საძირკვლების დემონტაჟი ხორციელდება პნევმატური სანგრევი ჩაქუჩებით მონგრევის გზით.

სამშენებლო ნაგვის აღება ხორციელდება ექსკავატორით ჩამჩის ტევადობით 0.25 მ³. ნაგვის გატანა ხორციელდება ავტოთვითმცლელებით.

ობიექტის მეპატრონის გადაწყვეტილების შემთხვევაში მეორადი გამოყენებისთვის ვარგისი მასალები და კონსტრუქციები დასაწყობდება დროებით სასაწყობო მოედანზე.

სანკვანძის შენობის სადემონტაჟო სამუშაოების წარმოებისას საავტომობილო ამწე მოძრაობს შენობის გარე კონტურის გასწვრივ, კონტურთან მიხედვით 4,0 მ-ზე (იხ. „სადემონტაჟო გენგეგმა“).

საავტომობილო ამწე მუშაობს როგორც ისრულ, ასევე ისრულ-ბატიყელიან შესრულებაში.

სამშენებლო ნაგვის ტრანსპორტირება „ზემოდან-ქვემოთ“ ხორციელდება დახურული ღარების მეშვეობით.

სამუშაოთა წარმოებისას დაცული უნდა იქნას სნდაწ - III-4-80*-ის მოთხოვნები, ასევე უსაფრთხოების მოქმედი ტექნიკური რეგლამენტების მოთხოვნები.

VI. საჭირო მანქანა-მექანიზმები და ტრანსპორტი

სანკვანძის შენობის და ღია აუზის სადემონტაჟო სამუშაოების ჩასატარებლად საჭიროა შემდეგი მანქანა-მექანიზმები და ტრანსპორტი:

1. საავტომობილო ამწე, ტვირთამწეობით 16ტნ. -1 ცალი
2. ექსკავატორი „უკუჩამჩა“, ტევადობით 0.25მ³-1ცალი
3. მოძრავი კომპრესორი-1ცალი
4. ავტოთვითმცლელელები-1ცალი
5. ბორტული ავტომანქანა-1ცალი
6. სპეციალიზებული ტრანსპორტი - 1ცალი

დემონტაჟისათვის აუცილებელია ასევე შემდეგი მცირე მექანიზაციის საშუალებები და ინვენტარი:

1. მცირე მექანიზაციის საშუალებები-1კომპლექტი
2. პნევმატური სანგრევი ჩაქუჩები-1ცალი
3. ელექტროსანგრევი ჩაქუჩები-1ცალი
4. ელექტრული ჭრის მექანიზმი-1ცალი
5. ინვენტარული ხარაჩოები-10 მ2

VII. უსაფრთხოების ტექნიკა

ყველა სადემონტაჟო სამუშაო უნდა შესრულდეს სნდაწ - III-4-80* - „უსაფრთხოების ტექნიკა მშენებლობაში“-ის მოთხოვნების მკაცრი დაცვით და უსაფრთხოების მოქმედი ტექნიკური რეგლამენტების მოთხოვნების მკაცრი დაცვით, ასევე ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების მოთხოვნების მკაცრი დაცვით.

სადემონტაჟო სამუშაოების დაწყებამდე შენობის შიგა ელ.ქსელი და წყლის ქსელი უნდა გამოირთოს გარე ქსელებიდან (არსებობის შემთხვევაში).

ანაკრები კონსტრუქციების დემონტაჟის დაწყებამდე აუცილებლად უნდა დაზუსტდეს მათი წონები, განლაგება და ტექნიკური მდგომარეობა. სადემონტაჟო სამუშაოების წარმოებისას წარმოშობილი სახიფათო ზონების საზღვარი სადემონტაჟო შენობის გარე კონტურიდან შეადგენს 5.0 მეტრს.

სადემონტაჟო სამუშაოების წარმოებისას აკრძალულია უცხო ადამიანთა ყოფნა სადემონტაჟო ტერიტორიაზე და განსაკუთრებით კი დემონტაჟის სახიფათო ზონაში. პირველ რიგში დემონტირებულ უნდა იქნას ავარიული კონსტრუქციები.

დემონტაჟის სახიფათო ზონის მოცემული რადიუსი დაზუსტდეს ადგილზე. დროებითი შემოღობვის საკითხი დაზუსტდეს ადგილზე.

ყველა მუშა და ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი სამუშაოთა წარმოებისას აღჭურვილი უნდა იყოს ინდივიდუალური უსაფრთხოების კომპლექტით (უსაფრთხოების ქამრები, რეზინის ფეხსაცმელები, რეზინის ხელთათმანები, ჩაფხუტები და სხვა). აკრძალულია სადემონტაჟო სამუშაოებზე მუშათა დაშვება დამცავი ჩაფხუტის, უსაფრთხოების ქამრების, რესპირატორებისა და დამცავი სათვალეების გარეშე.

აკრძალულია მანქანა-მექანიზმების მუშაობა უშუალოდ მოქმედი ელ. გადამცემი ხაზების ქვეშ.

მოქმედი ელ.გადამცემი ხაზების სიახლოვეს მანქანა-მექანიზმების მუშაობა დასაშვებია მხოლოდ დამშვები განწყობის საფუძველზე.

სადემონტაჟო სამუშაოებზე დასაქმებულებს აუცილებლად უნდა ჩაუტარდეს სისტემური სწავლება უსაფრთხოების ტექნიკის საკითხებში. მხოლოდ ამ სწავლებების შემდეგ არის ნებადართული მათი დაშვება სადემონტაჟო სამუშაოებზე.

ყოველი მომუშავე სამუშაოს წარმოებისას უნდა იმყოფებოდეს უშუალოდ თავის სამუშაო ადგილზე, მოერიდოს სახიფათო ზონებში ყოფნას და სიარულს, დაემორჩილოს ამკრძალავ, გამაფრთხილებელ და მიმითითებელ ნიშნებს. სამუშაოები უნდა სწარმოებდეს უშუალოდ სამუშაოთა მწარმოებლის მეთვალყურეობით.

აკრძალულია ადამიანთა ყოფნა უშუალოდ სადემონტაჟო კონსტრუქციების ქვეშ.

სამშენებლო ნაგვის გატანა ხორციელდება ავტოთვითმცლელელებით ნაგავსაყრელზე.

სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოებისას მიღებული უნდა იქნას ზომები და შემუშავდეს ღონისძიებები გარემოსა და გარშემომყოფთა დასაცავად მტვრისგან და ხმაურისგან.